



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #43 მაისი, 2015

გამოშვებაში
წაიკითხავთ

ტალინი: ელ-მმართველობის კონფერენცია 2015

1 ტალინი: ელ-მმართველობის კონფერენცია 2015

2 უზბეკეთის დელეგაცია მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ესტუმრა

2 „მაიკროსოფტი“ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შესახებ

3 ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემებსა კიბერინციდენტებზე რეაგირების საფუძვლებში

3 მოქალაქის პორტალს (MY.GOV.GE) გეგუთსა და მუხაესტატეში გაეცნენ

4 CERT.GOV.GE-ს რეკომენდაციები



11-14 მაისს ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გაიმართა ელექტრონული მმართველობის საერთაშორისო კონფერენცია, რომლის ორგანიზატორიც ესტონეთის ელ-მმართველობის აკადემია იყო.

კონფერენციაზე გახსნილი სიტყვით გამოვიდა საქართველოს იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, რომელიც ამ ღონისძიებაზე ესტონეთის პრეზიდენტის ტომას ჰენდრიკ ილვესის მიწვევით იმყოფებოდა.

ელექტრონული მმართველობის სფეროში ესტონეთის მდიდარი გამოცდილების გათვალისწინებით, სიტყვით გამოსვლისას მინისტრმა მიმოიხილა ამ სფეროში საქართველო-ესტონეთის თანამშრომლობის გაღრმავების გზები, აღინიშნა ელექტრონული მმართველობისა და სერვისების შემდგომი განმტკიცების მნიშვნელობა მთავრობის ეფექტიანობის ზრდის, კორუფციასთან ბრძოლისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. თეა წულუკიანმა ხაზი გაუსვა საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული სერვისების განვითარების პროცესში.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო პროექტების მართვის სპეციალისტმა, პაატა სირბილაძემ, რომელმაც საქართველოში ელექტრონული მმართველობის სფეროში განხორციელებული პროექტების, მიღწეული შედეგებისა და სამომავლო გეგმების შესახებ გააკეთა პრეზენტაცია. აუდიტორიის მხრიდან განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მოქალაქის პორტალის, იუსტიციის სახლისა და საზოგადოებრივი ცენტრების პროექტებმა.

ელექტრონული მმართველობის კონფერენციაში 70-მდე ქვეყნის 250-ზე მეტმა წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge



www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

საპარტნიორო
საკანონმდებლო
მაცნე

www.eAuction.ge
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

უზბეკეთის დელეგაცია მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ესტუმრა



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს უზბეკეთის დელეგაცია ესტუმრა. სააგენტოს წარმომადგენლებმა სტუმრებს დეტალურად გააცნეს საქართველოში ელექტრონული მმართველობის, მონაცემთა გაცვლის ინფრასტრუქტურის, ელექტრონული სერვისებისა და ღია მმართველობის მიმართულებით განხორციელებული პროექტები, ასევე გაუზიარეს ის გამოცდილება, რომელიც სააგენტოს

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში აღნიშნული მიმართულებებით დაუგროვდა.

ვიზიტის ფარგლებში უზბეკეთის დელეგაციის წევრები ეწვევიან თბილისის იუსტიციის სახლს, ასევე გამართავენ შეხვედრებს იმ უწყებებში, რომლებიც ელექტრონული მმართველობისა და ელ-სერვისების განვითარების მიმართულებით მუშაობენ.

„მოხარულნი ვართ, რომ ჩვენი სააგენტოს გამოცდილების გაზიარებით სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ინტერესდებიან. დღეს ჩვენს უზბეკელ კოლეგებს გავაცანიე სააგენტოს მუშაობის სფეროები და ყველა ის პროექტი, რომელიც დაკავშირებულია ქვეყანაში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული სერვისების განვითარებასთან“, - განაცხადა **ირაკლი გვენტაძემ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარემ.

უზბეკელი კოლეგები ასევე გაეცნენ საქართველოში კიბერ და ინფორმაციული უსაფრთხოების განვითარების ტენდენციებს და ელექტრონული სერვისების ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების ონლაინ პლატფორმას - მოქალაქის პორტალს (MY.GOV.GE).

„მაიკროსოფტი“ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შესახებ



კორპორაცია "მაიკროსოფტმა" საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ "მონაცემთა გაცვლის სააგენტოს" ელ-მმართველობის სპეციალიზებული ინფრასტრუქტურის შესახებ წარმატების ისტორია გამოაქვეყნა. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ბმულზე:

<https://customers.microsoft.com/Pages/CustomStory.aspx?recid=21127&fbid=NOFBID&mtag=mbar-twitter>

ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემებსა და კიბერინციდენტებზე რეაგირების საფუძვლებში



იუსტიციის სასწავლო ცენტრში მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ ჩატარდა მორიგი ტრენინგი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემებსა და კიბერინციდენტებზე რეაგირების თემატიკაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მონაწილეობდნენ როგორც კრიტიკული ინფორმაციული სისტემების სუბიექტები, ისე სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ტრენინგის პირველი ნაწილი მიემდგვნა ინფორმაციული უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ასევე, ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დაგეგმვის, დანერგვისა და აუდიტის ეტაპების გაცნობას, ხოლო მეორე ნაწილი კი კიბერინციდენტებზე რეაგირების საფუძვლების გაცნობას დაეთმო.

ტრენინგის განმავლობაში მონაწილეები გაეცნენ ინფორმაციული უსაფრთხოების პრაქტიკაში დანერგვის გზებს, რათა მათი დაწესებულების საქმიანობა თავსებადი იყოს საქართველოს

კანონთან ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ (გაგრძელება გვ. 3).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 2)

კიბერინციდენტებზე რეაგირების ნაწილში კი ტრენინგის მონაწილეები გაეცნენ იმ თანამედროვე მეთოდებს, რომელიც დღეისათვის გამოიყენება კიბერინციდენტებზე რეაგირების მიმართულებით.

ტრენინგი 9 დღეს გრძელდებოდა და დასრულდა ტესტირებით ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერობის კანდიდატებისთვის, რომლის შედეგების შეფასების საფუძველზეც გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები, ხოლო კიბერინციდენტების რეაგირების საფუძველში კი მონაწილეებს ტრენინგზე დასწრების სერტიფიკატები გადაეცათ.

მოქალაქის პორტალის (MY.GOV.GE) უპირატესობებს გეგუთისა და მუხაესტატეს საზოგადოებრივ ცენტრებში ადგილობრივი მოსახლეობა გაეცნო



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტო ქვეყნის მასშტაბით განთავსებულ საზოგადოებრივ ცენტრებში ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოქალაქის პორტალის (MY.GOV.GE) პრეზენტაციების ციკლს აგრძელებს.

მორიგი შეხვედრა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში და ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხაესტატეში მდებარე საზოგადოებრივ ცენტრებში გაიმართა. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს წარმომადგენლებმა ადგილობრივ მოსახლეობას დეტალურად გააცნეს მოქალაქის პორტალის (www.my.gov.ge) გამოყენების ინსტრუქცია, ისაუბრეს მის უპირატესობებზე და წარმოადგინეს ყველა ის მნიშვნელოვანი ელექტრონული მომსახურება, რომელთა მიღებაც მოქალაქეებს დისტანციურად, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერის მეშვეობით შეუძლიათ.

მოქალაქის პორტალით სარგებლობისთვის მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს როგორც ახალი პირადობის მოწმობა, ისე მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომლის მიღებაც ერთჯერადი პროცედურის გავლით იუსტიციის სახლებშია შესაძლებელი, უახლოეს მომავალში კი სახელისა და პაროლის დარეგისტრირება საზოგადოებრივ ცენტრებშიც გახდება ხელმისაწვდომი.

მოქალაქის პორტალზე მომხმარებელი რამდენიმე მარტივი

კომბინაციის განხორციელებით იღებს სხვადასხვა სახის მომსახურებას - იქნება ეს პიროვნებასთან (პასპორტი, სხვადასხვა სახის მოწმობები, გვართან დაკავშირებული საინტერესო ინფორმაცია), ქონებასთან, სოციალურ მომსახურებასთან, ჯანდაცვასთან ან ბიზნესის წამოწყებასთან დაკავშირებული პროცედურები თუ კომუნალური, სხვადასხვა სახის ჯარიმებისა და სხვა გადასახდელის გადახდა. მომხმარებელს, მაგალითად, შეუძლია სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად შეიცვალოს მისამართი, განაახლოს ქონების ამონაწერი, ელექტრონულად გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია ან დაარეგისტრიროს კომპანია და წამოიწყოს ბიზნესი. ყველა მომსახურება შესაბამისი კატეგორიების მიხედვითაა დალაგებული, რაც ამარტივებს სასურველის არჩევას. მომხმარებელს ასევე შესაძლებლობა აქვს მისთვის საჭირო ყველა ის მომსახურება, რომელსაც ხშირად იყენებს, საკუთარი შეხედულებისამებრ განათავსოს პირად გვერდზე. დღეისათვის პორტალზე ხელმისაწვდომია 70-ზე მეტი ელექტრონული მომსახურება.

„მნიშვნელოვანია, რომ რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას ელექტრონული მმართველობის, ელექტრონული სერვისებისა და მათი გამოყენების შესახებ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ. ჩვენი მიზანია, რომ ელექტრონული მმართველობა, რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაც არის მოქალაქეებისათვის სხვადასხვა სახელმწიფო სერვისის ელექტრონულად, ერთი ფანჯრის პრინციპით მიღების შესაძლებლობა, მთელი ქვეყნის მასშტაბით განვითარდეს. ასევე აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში მოქალაქის პორტალის მეშვეობით რეგიონების მოსახლეობას კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში არსებული სერვისების ელექტრონულად მიღების შესაძლებლობაც მიეცემა“, - **ირაკლი გვენეტაძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარე.

მსგავსი სახის შეხვედრები ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განთავსებულ საზოგადოებრივ ცენტრებში ეტაპობრივად ჩატარდება.

CERT.GOV.GE-ს რეკომენდაციები

SPAM - სპამი



სპამი (ინგლ. Spam, Bulk ან Junk) არის ელექტრონული წერილის ტიპი, რომელიც იგზავნება პიროვნების ან კომპანიის მიერ, მიმღების დაუკითხავად და სურვილის გარეშე. მსგავსი წერილები უმეტესწილად სარეკლამო ხასიათისაა. პიროვნებას, რომელიც მსგავს წერილებს გზავნის ეწოდება სპამერი. მათი ძირითადი მიზანია თავიანთი პროდუქტის პოპულარიზაცია. როგორ ხვდება ჩვენი იმეილი სპამერის ხელში - სპამერისთვის ყველაზე რთულია იმ მისამართების ხელში ჩაგდება, რომელთაც უნდა გაუგზავნოს ესა თუ ის იმეილი, რადგან აქ ლაპარაკია არა ერთ და ორ, არამედ ათასობით იმეილზე. ამისთვის სპამერები რამდენიმე ხერხს მიმართავენ:

- ცნობილი კომპანიის მომხმარებლების ბაზის გატეხვა;
- კომპანიის თანამშრომლისგან არაოფიციალური გზით მომხმარებლის მონაცემების შექმნა;
- სხვადასხვა ყველასათვის ნაცნობი და პოპულარული საიტებიდან მონაცემების ამოღება სპეციალური პროგრამებით. (მაგ. Harvester);
- კომპიუტერიდან, რომელიც დაინფიცირებულია trojan-ით, შესაძლებელია მოიპოვო ყველა მეილი, რომელზეც მოხდა მიმოწერა დაინფიცირებული კომპიუტერით;
- სპამერებს აქვთ გავრცელებული სახელების ბიბლიოთეკა, რომელსაც სხვადასხვა კომბინაციებით იყენებენ და იგებენ უამრავ მეილს.

რა არის სპამი?

სპამი არის ელექტრონული წერილის ტიპი, რომელიც მასობრივად და ანონიმურად იგზავნება მიმღების ელექტრონული ფოსტის მისამართზე, მის დაუკითხავად და სურვილის გარეშე. მსგავსი წერილები უმეტესწილად სარეკლამო ხასიათისაა და განკუთვნილია რაიმე მომსახურების ან საქონლის რეკლამირებისათვის (პოტენციის ასამაღლებელი აბების რეკლამა, ფიქტიური კომპანიებისგან საფონდო ბირჟებზე მომხიბვლელი გარიგებების შესახებ მოწვევები და უამრავი სხვა დამანიტრიგებელი წინადადება).

პიროვნებას, რომელიც მსგავს წერილებს აგზავნის ეწოდება სპამერი. გარდა რეკლამისა, სპამერები სპამს იყენებენ ფიშინგური შეტევების განსახორციელებლად ან მავნე პროგრამების გასავრცელებლად. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტ მომხმარებლების უმეტესობამ იცის სპამის შესახებ და უარყოფითად აფასავენ მას, ჯერ კიდევ ბევრი ხდება სპამერების მსხვერპლი. მრავალ ქვეყანაში სპამირება ისჯება კანონით.

ყოველდღიურად მსოფლიოში მილიარდობით ელექტრონული წერილი იგზავნება და სტატისტიკურად ელექტრონული წერილების ტრაფიკის 80%-ზე მეტი არის სპამი! გამოდის, რომ ნორმალური წერილების რაოდენობა არის 20%-ზე ნაკლები, დანარჩენი კი სპამი.

სპამის სახეობები - ყველაზე გავრცელებული სპამის სახეობებია:

- ლეგალური პროდუქციის რეკლამა, რომლის ღირებულებაც დაბალია;
- არალეგალური პროდუქციის რეკლამა, რომელიც აკრძალულია კანონით;
- კონკურენტი პროდუქციის ანტირეკლამა;
- ფიშინგი, რომელიც ხდება სპამ მეილის მიღების შემდეგ.

რა არის სპამ ბოტი?

სპამ ბოტი არის სპეციალური პროგრამა, რომელიც აგროვებს ელ-ფოსტის მისამართებს ინტერნეტში. სპამ ბოტი ავტომატურად ათვალიერებს სხვადასხვა ვებ გვერდებს, ფორუმებს, ბლოგებს და ტექსტში ეძებს ელ-ფოსტის მისამართს, შემდგომ ნაპოვნი ელ-ფოსტის მისამართები ხვდება სპამერების წერილების მასობრივი დაგზავნის სიაში, რის საშუალებითაც ისინი აგზავნიან სპამს.

თუ თქვენ ღია ტექსტით რომელიმე ვებ გვერდზე გაქვთ განთავსებული ან დაფიქსირებული თქვენი ელ-ფოსტის მისამართი, დაწრმუნებული იყავით რომ სპამ-ბოტი იპოვის მას, რის შემდგომაც მოგივით აუარებული სპამ წერილები, ამიტომ არ გამოაქვეყნოთ თქვენი ელ- ფოსტის მისამართი ვებ-გვერდზე ან ფორუმზე (გაგრძელება გვ. 5).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 5)

ვინაიდან სპამ-ბოტი არის მავნე პროგრამა, მას აქვს ასევე სპამის დაგზავნის ფუნქციაც. მან შეიძლება თქვენი კომპიუტერის საშუალებით გააზავნოს ათასობით სპამ წერილი სხვადასხვა ელექტრონულ მისამართზე. მომხმარებლისთვის სპამ ბოტის არსებობა მის კომპიუტერში არის ძალზედ სახიფათო, რადგან მისი კომპიუტერის IP მისამართიდან გაგზავნილი სპამი ადრე თუ გვიან მოხვდება რომელიმე შავ სიაში (სპამის ბლოკირების სიები, რომელიც საშუალებას აძლევს ადმინისტრატორებს დაბლოკონ წერილები იმ სისტემებიდან, რომლებსაც აქვთ სპამის დაგზავნის ისტორია), რის შემდეგმაც მას შეეძლება პრობლემა გააგზავნოს ჩვეულებილივი წერილები, ვინაიდან თუ მისი IP მისამართი დაფისქსირებულია რომელიმე შავ სიაში, მიმღების სერვერი ავტომატურად დაბლოკავს მისგან მოსულ ნებისმიერ წერილს. ეს ძალზედ მნიშვნელოვანია ორგანიზაციებისთვის, რომელთაც აქვთ თავიანთი მიილ-სერვერი, რადგან თუნდაც ერთმა მომხმარებელმა შეიძლება შეუქმნას პრობლემა ყველა სხვა მომხმარებელს, რომელიც იყენებს სამსახურებრივ ელ-ფოსტას.

თქვენ შეგიძლიათ შეამოწმოთ თქვენი IP მისამართი და გაიგოთ დაინფიცირებულია თუ არა იგი. ეწვიეთ მისამართს www.dea.gov.ge და CERT.GOV.GE-ს მომსახურებებში აირჩიეთ Check My IP.

ზრბოლა სპამთან?

აშკარაა, რომ სპამს მოაქვს სერიოზული ეკონომიკური სარგებელი სპამის შემკვეთებისათვის. ამდენად ყველაზე საიმედო გზაა, რომ სპამით მოსულ რეკლამაზე თქვა უარი და არ შეიძინო სპამით რეკლამირებული ნივთი. SPAM-ისგან 100% დაცვა არ არსებობს და მთლიანად სპამ წერილებისგან თავის არიდება რთულია, ვინაიდან სპამერებიც არ ჩამორჩებიან დაცვის სისტემებს და სულ ახალ მეთოდებს იგონებენ თუ როგორ აუარონ მათ გვერდი, რათა მათმა წერილებმა მიაღწიოს ადრესატამდე. ამისათვის თვითონ მომხმარებელმაც უნდა დაიცვას რამდენიმე წესი, რათა მისი ელექტრონული ფოსტის მისამართზე არათუ მომრავლდეს, არამედ შემცირდეს სპამის რაოდენობა. გთხოვთ გაითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- არ უპასუხოთ სპამ წერილებს - პასუხის გახემით თქვენ ადასტურებთ, რომ თქვენი ელ-ფოსტის მისამართი არის აქტიური და ამის შემდეგ უფრო მეტი არასასურველი წერილი მოგივიათ;
- არ გახსნათ სპამ წერილში მითითებული არცერთი ლინკი (ბმული) რა შინაარსისაც არ უნდა იყოს ის, ლინკზე დაჭერით შესაძლოა გადახვიდეთ სახიფათო ვებ-გვერდზე;
- არ გახსნათ სპამ წერილში თანდართული ფაილი (attachment), რადგან შეიძლება შეიცავდეს ვირუსს ან მავნე პროგრამას;
- არ გამოაქვეყნოთ თქვენი ელ-ფოსტის მისამართი ვებ-გვერდზე ან ფორუმზე, რადგან სპამ-ბოტები ავთალიერებენ ვებ გვერდებს და ელ-ფოსტის მისამართის პოვნისას ავტომატურად შეაქვთ სპამ სიაში;
- გამოიყენეთ ანტივირუსი - ბევრ თანამედროვე ანტივირუსულ პროგრამას აქვს ანტი-სპამ ფუნქცია;
- არ გადაამისამართოთ უცნობი წერილები - (From, Subject, Text) დაიბლოკოს არასასურველი წერილები ან გადაამისამართოთ სხვა ყუთში.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

წმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. 2
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გასურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გასურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ